



საქართველო

სენაკის მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



4100, ქ.სენაკი, ი. ჭავჭავაძის ქ. №103
103, I. Tchavtchavadze Str., Senaki, Georgia

ტელ: (0 413) 27 75 47
senakismeria@gmail.com
www.senaki.ge

24 იანვარი 2018 წელი

№92

სენაკის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს შექმნის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის და სენაკის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს შექმნის შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 23 მაისის №28 დადგენილების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. შეიქმნას სენაკის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

- ა) ლევანი კუპრეიშვილი - სენაკის მუნიციპალიტეტის მერი - საბჭოს თავმჯდომარე;
- ბ) გრიგოლ ბალათურია - სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
- გ) სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები - სამსახურის უფროსები;
- დ) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: ნანა ალანია - სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; ინგა ქარდავა - საკრებულოს წევრი;
- ე) სენაკის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელები;
- ვ) ალექსანდრე წითლიძე - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სენაკის რაიონული განყოფილების მთავარი სპეციალისტი;
- ზ) თეა შამათავა - საქართველოს ყრუთა კავშირის სენაკის სასწავლო-საწარმოო წამოწყების დირექტორი;
- თ) გენადი დავითაია - საქართველოს უსინათლოთა კავშირის სენაკის ფილიალის წარმომადგენელი.

2. საბჭოს მდივნობა დაევალოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს - ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსს ნატალია ხუბუას.

3. სენაკის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე შექმნილმა საბჭომ თავისი კომპეტენციის ფარგლებში განიხილოს სენაკის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ღირსეული თანაცხოვრებისა და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფისათვის აუცილებელი პირობების შექმნის საკითხი.

4. ბრძანების მოქმედება გავრცელდეს 2017 წლის 12 ნოემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

5. ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან 1 თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. სენაკი, შ. რუსთაველის ქ. №247).

მუნიციპალიტეტის მერი



ლევანი კუპრეიშვილი